

Effectiveness of Anti-drug Mechanisms in Georgia, The Spread of Acute Intoxication and their Peculiarities in the Patients of the State Methadone Program

Irine Gobejishvili¹, Nata Kazakhashvili²

Ivane Javakhishvili Tbilisi state university, faculty of medicine, Doctoral Program - „Public Health and Epidemiology”

¹PhD Student; ²TSU Professor

The fact, that patients are involved in the Methadone Program voluntarily and at their own initiative, use of other substances (such as drugs, psychotropic/ sleeping/ antiparkinson/ antiepileptic medications etc) or alcohol for achieving drug-like effect is quite often. In its turn, it causes need for hospitalization/ rehospitalization of acute intoxication cases, which implies involvement of proper diagnostic methods and additional treatment in emergency, toxicology, intensive therapy and reanimation sections and such complications as development of new somatic diseases/disorders and exacerbation of concomitant chronic diseases take place.

Nowadays, there isn't any kind of research about the importance or severity of this problem, and the factors which may effect it. This research assesses the frequency of cases of drug overuse among patients of "Methadone Program" and informs us about their peculiarities.

Accordingly, we get important information on the type and frequency of additional xenobiotics used to obtain a drug-like effect, on the causes of intoxications among the beneficiaries of the Methadone Substitution Program and the costs incurred by the state for treatment in the hospital.

We will also find does Methadone replacement therapy really reducing the readiness and willingness to obtain and use illicit drug substances/ medicines, if, on the contrary, it causes such problems during the treatment process that no one has discussed before.

Keywords: Methadone program, drug-like effect, survey study, intoxication.

საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების ეფექტურობა, მწვავე მოწამვლათა გავრცელება და მათი თავისებურებები "ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის" სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებში

ირინე გობეჯიშვილი¹, ნატა ყაზახაშვილი²

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, სადოქტორო პროგრამა – საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; ²თსუ პროფესორი

მეთადონის პროგრამაში ჩართულ პაციენტებში, მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობით და თავიანთი ინიციატივით ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში, ხშირია ე.წ. „ნარკოტიკული თრობის" მსგავსი ეფექტის მიღების მიზნით ჩანაცვლებით სამკურნალო საშუალებაზე დამატებით სხვადასხვა სახის ნივთიერებების (მათ შორის: ნარკოტიკები, ფსიქოტროპული/სადილე/ანტიპარკინსონული/ანტიეპილეფსიური მედიკამენტები და სხვა) და ალკოჰოლის მიღების ფაქტები, ეს, კი თავის მხრივ იწვევს მწვავე მოწამვლების დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციას - რეჰოსპიტალიზაციას, რაც მოითხოვს სათანადო დიაგნოსტიკას და დამატებით მკურნალობას გადაუდებელი დახმარების, ტოქსიკოლოგიის, ინტენსიური თერაპიის ან რეანიმაციის განყოფილებებში და რთულდება ახალი სომატური პათოლოგიის განვითარების ან თანმხლები ქრონიკული დაავადების გამწვავების სახით.

ამჟამად არ არსებობს რაიმე კვლევა, რომელიც შეაფასებს თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა და რა ფაქტორები ახდენს მასზე გავლენას. აღნიშნული კვლევა აფასებს თუ რამდენად ხშირია მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტებში მედიკამენტების ჭარბი მოხმარება და გვაწვდის ინფორმაციას მათი მოხმარებლების თავისებურებების შესახებ.

შესაბამისად, მივიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას მეთადონის პროგრამაში ჩართულ პაციენტებში ე. წ. „ნარკოტიკული თრობის" მსგავსი ეფექტის მიღების მიზნით დამატებით მოხმარებული ქსენობიოტიკების სახეობის და სიხშირის შესახებ, ინტოქსიკაციების მიზეზის შესახებ და ჰოსპიტალში მკურნალობის მიზნით

სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დანახარჯის თაობაზე.

ასევე აღმოვაჩინეთ, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია ამცირებს კი არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების/მედიკამენტების მოპოვების მზაობისა და მიღების სურვილის დაქვეითებას, თუ პირიქით მკურნალობის პროცესში აჩენს ისეთი სახის პრობლემებს რაზეც აქამდე არავის უმსჯელია.

საკვანძო სიტყვები: მეტადონის პროგრამა, ე.წ. „ნარკოტიკული თრობის“ მსგავსი ეფექტი, კვლევა, მოწამლა.